



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-04/2239-15
03.07.2015

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო
კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ თამაზ მეჭიაურს

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონო თამაზ,

ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და მასთან დაკავშირებით გაცნობებით ჩვენს მოსაზრებებს.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2015 წლის ბიუჯეტის წინა პროექტთან შედარებით მცირდება 139 მლნ ლარით 7,951 მლნ ლარამდე. საგადასახადო შემოსავლები 200 მლნ ლარით მცირდება, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლები იზრდება 61 მლნ ლარით. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები წინა პროექტთან შედარებით 40 მლნ ლარით მცირდება.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, წინა პროექტთან შედარებით 99 მლნ ლარით იზრდება და 1,075 მლნ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება 932 მლნ ლარამდე, რაც 2015 წლის მშპ-ს საპროგნოზო ოდენობის 3%-ია.

დეფიციტის ზრდის დაფინანსების წყარო პრივატიზაციაა, რომლის დაგეგმილი მაჩვენებელი 150 მლნ ლარით იზრდება წინა პროექტთან შედარებით, რაც წარმოადგენს მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვით მისაღებ შემოსულობებს.

ცხრილი. სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიტიკური წარმოდგენა, მლნ ლარი

	2015 წლის გეგმა	2015 წლის ცვლილება	შედარება გეგმასთან	
			მლნ ლარი	%
შემოსავლები	8,090	7,951	-139	-1.7%
საგადასახადო შემოსავლები	7,600	7,400	-200	-2.6%
არასაგადასახადო შემოსავლები	490	551	61	12.4%
ხარჯები	9,066	9,026	-40	-0.4%
მიმდინარე ხარჯები	8,005	8,021	15	0.2%

კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	1,060	1,005	-55	-5.2%
დეფიციტი	976	1,075	99	10.2%
დეფიციტის დაფარვა	976	1,075	99	10.2%
პრივატიზაცია	85	235	150	176.5%
დეპოზიტების კლება	-300	-325	-25	8.3%
ვალდებულებების ზრდა	1,191	1,165	-26	-2.2%
მშპ	31,861	30,664		
დეფიციტი/მშპ-სთან	3.1%	3.5%		
ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი	980	932		
ნაერთი დეფიციტი/მშპ-სთან	3.1%	3.0%		

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის განხილვის დროს გამოითქვა შენიშვნა, რაც ასევე დაფიქსირებულია კომიტეტის დასკვნაში, რომ ეროვნული ბანკი არ უწევს საკმარის კონსულტაციას და არ მიუთითებს რისკებზე ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს.

ეროვნულ ბანკს მიაჩნია, რომ ის კომპეტენტია, რომელიც არსებობს როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტში, არ საჭიროებს ეროვნული ბანკის დასკვნაში თეორიული საკითხების განხილვას. თუმცა, გამომდინარე საკითხის მნიშვნელობიდან და კომიტეტის სპეციალური თხოვნიდან, უფრო დეტალურად გაწვდით ეროვნული ბანკის შეფასებებსა და პოზიციას.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო, რამაც აშშ დოლარის გამყარება გამოიწვია ყველა ძირითადი ვალუტის მიმართ და რეგიონში არსებული ძალიან რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება მნიშვნელოვანი საგარეო შოკის პირობებში.

არსებულ შოკს აძლიერებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, მათ შორის ეროვნულ ბანკის პოლიტიკის მიმართ გამოთქმული უსაფუძვლო ბრალდებები და საბანკო სექტორის ზედამხედველობის შესაძლო შესუსტება.

საგარეო შოკების მხრივ მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილია გაურკვეველობა მათ შორის აშშ დოლარის კიდევ უფრო გამყარებისა და რეგიონის ეკონომიკების გაურესების კუთხით როგორც ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, ასევე ევროზონაში მიმდინარე პროცესების გამო.

მნიშვნელოვანია არსებულ შოკებზე ქმედითი რეაგირება და მომავალი შესაძლო გაუარესებისაგან დასაცავად ბუფერების შექმნა. კერძოდ, არსებული შოკების პირობებში, პოლიტიკის სწორი რეაგირება იქნებოდა ეკონომიკურ ზრდაზე კონცენტრირება და გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში სოციალური და სხვა პრობლემების მიზნობრივი გადაწყვეტა. ვითვალისწინებთ, რომ აღნიშნული პოლიტიკა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ და სხვა პრობლემებთან, ამიტომ უნდა იყოს განხილული ალტერნატიული პოლიტიკა. კერძოდ, გაცვლითი კურსის ხელშეწყობა, ისე რომ მოსახლეობის შემოსავლებს მინიმალური ზარალი მიადგეს როგორც მიმდინარე, ასევე მოვალე წლებში.

ზემოაღნიშნული პოლიტიკა გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას ან/და არსებული საგადასახადო მექანიზმების გამოყენებას, როგორც აღნიშნული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მთავრობასთან კონსულტაციის ფარგლებში. ამასთან, ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს უპირატესად მიმდინარე ხარჯების კლებით.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არ ითვალისწინებს წლის მეორე ნახევარში კურსზე ზეწოლის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება მხოლოდ 48 მლნ ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იზრდება 99 მლნ ლარით.

პროექტით, ასევე არ არის დაგეგმილი ცვლილებები საგადასახადო კუთხითაც, რაც ხელს შეუწყობდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას და შედეგად გაცვლით კურსზე წნეხის შერბილებას.

წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებებში საყურადღებოა ხარჯების განაწილება მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მიმდინარე ხარჯები იზრდება 15 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები მცირდება 55 მლნ ლარით. ნაერთ ბიუჯეტშიც კაპიტალური ხარჯების კლება მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ხარჯების შემცირებას.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის წევრების მხრიდან არაერთხელ გამოითქვა წუხილი ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რამაც რთული პირობები შეუქმნა დოლარის სესხების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. შესაბამისად, თუ პარლამენტის მიზანია ლარის გაუფასურების გამო სასესხო ტვირთის შემცირება ან შემდგომი ალტერნატივა - ლარის გაცვლითი კურსის დამატებითი გაუფასურების ზეწოლის განეიტრალება, საჭიროა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რაც არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიძე

ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტი